F) 11, 12.

26 მაისი — დამოუკიდებლობის აღდგენის დღე
ზეიმით აღნიშნა სრულიად საქართველომ

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ოდიში

1992
შაბათი
6
ივნისი
№ 6 (10537)
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1992 წლის 1 თებერვლიდან

„ოდიშის“ მკითხველებს

ძვირფასო მკითხველო! ოთხი თვის წინ შეწყდა გაზეთ „ოდიშის“ გამოშვება. მძიმე ტკივილიანი განცდებით იყო დატვირთული ეს დღეები რედაქციისათვის, ყველა თქვენთანისათვის.

მერე და რა დღეები იყო ასეთი? ცოდვის კალო დატრიალდა, ძმები ერთმანეთს დაერივნენ და სისხლის გუბე დააყენეს. თუ გული გვერჩოდა და სიკვდილი ჩვენი გარდაუვალი ბედისწერა იყო, არ ჯობდა ეს სიმამაცე იქ სამაჩაბლოში გამოგვეჩინა, სადაც ოსმა ექსტრემისტებმა ჩვენს ქართველ დებსა და ძმებს ოჯახები წაუბილწეს, მშობლიური კერა მოაშლევინეს და საკუთარი მიწა-წყლიდან ერეკებიან, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში სადისტური სისასტიკით უსწორდებიან.

ქართველმა ქართველის წინააღმდეგ ხელი აღმართა, ძმამ ძმის სისხლი დაღვარა, მტერი გავახარეთ და გავაცინეთ, ალბათ არც თემურ ლენგსა და არც აღამაჰმადხანს ისე არ აუოხრებია საქართველო, როგორც ეს ქართველმა გააკეთა. რას ვერჩოდით წლობით ნაშენებ ნალოლიავებ ძენობა ნაგებობებს ასე უმოწყალოდ რომ დავანგრიეთ და გავაპარტახეთ.

ქართველი კაცის გენშია ხანძრისა თუ ბუნების სტიქიით დაზარალებულთათვის ძმური დახმარება და თანადგომა. იმ დღეებში კი როცა მილიციისა და სასტუმრო „ეგრისის“ შენობა ცეცხლის ალში იყო გახვეული, ზოგიერთმა ჩვენმა უღირსმა თანამემამულემ ხელი მოითბო. სირცხვილით სად უნდა გამოვყოთ თავი, როცა საბავშვო ბაღების საძინებელი ოთახებიდან ნორჩი აღსაზრდელების ლეიბები და საბნები, დგამ ავეჯი და ჯამ ჭურჭელი, მუსიკალური ინსტრუმენტები და სათამაშოები გაზიდეს. კურიოზია მაგრამ ხომ ფაქტია. ბუნების დაცვის სარაიონთაშორისო ინსპექციის დარბეული შენობიდან, დგამ ავეჯზე რომ არაფერი

სტაბილიზაციისათვის ბრძოლაში ჩვენ მეკავშირეები ვართ

ვთქვათ, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მათთვის სრულიად გამოუსადეგარი მინის სინჯები და კოლბები წაიღო. აი როგორ ესმით ადამიანების გარკვეულ ჯგუფს თავისუფლება. როდემდე უნდა გაგრძელდეს ამ ბოლო დროს ასე მოხშირებული დივერსიული აქტები: ხიდების აფეთქება, მაგისტრალური გზების მწყობრიდან გამოყვანა, რკინიგზის ლიანდაგების აყრა, კრიმინოგენური სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა, ეს ყველაფერი ხომ მშრომელი ხალხის საზიანოდაა მიმართული.

ზუგდიდმა დიდი მატერიალური ზარალი განიცადა. დანგრეულისა და გაპარტახებულის აღდგენა შეიძლება. თუმცა დღევანდელი მძიმე ეკონომიკური კრიზისისა და საშენი მასალების მწვავე დეფიციტის დროს ეს დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ადამიანების მონდომება და თავდადება ამ სიძნელეებს ნამდვილად გადალახავს, მაგრამ რა ვუთხრათ, რით ვანუგეშოთ ძმათა ომში უდროოდ დაღუპულთა ჭირისუფალი. ადამიანი ხომ ერთხელ იბადება და რას, ან ვის ძალუძს კვლავ აღანთოს ჩამქრალი სიცოცხლე. ეს სისხლიანი დღეები შავლაქად შემორჩება საქართველოს ისტორიას.

ოთხი თვე ადგილობრივი გაზეთის გარეშე? ეს ხომ ინფორმაციის ვაკუუმია. ასეთი რამ არ ახსოვს ზუგდიდს. მეორე მსოფლიო ომის წლებშიც, როცა უკიდურესად უჭირდა ქვეყანას, როცა მტერი კავკასიონის ქედს მოადგა, როცა ქაღალდიც და პოლიგრაფიული საშუალებებიც დიდი დეფიციტი იყო ადგილობრივი გაზეთის გამოსვლა არ შეწყვეტილა.

რთულ და პოლიტიკურ სიტუაციასთან ერთად გაზეთის გამოშვებას ელექტროენერგიის ხშირმა გამორთვებმა, და ქაღალდის დეფიციტმაც შეუშალა ხელი. გვჯერა რომ მიზეზების უფრო დეტალურ გამოკითხვას არ დაიწყებს ჩვენი მკითხველი. და აი ოთხი თვის შემდეგ გაზეთი „ოდიში“ კვლავ ხვდება თავის მკითხველებს.

„ოდიში“ ამიერიდან იქნება ხელმძღვანელი მმართველი ორგანოების დიქტატისაგან სრულიად თავისუფალი საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი, რომელიც ფართოდ დაუთმობს ადგილს ზუგდიდში მოქმედ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება მიეცემა გამოთქვას თავისი აზრი. სულ სხვა საქმეა როგორ მიიღებს ამ ას მკითხველი. ნებისმიერ მოქალაქეს არავინ უკრძალავს გაიზიაროს, ან არ გაიზიაროს პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება, დიალოგში ჩაებას ოპონენტთან. რედაქციას გათვალისწინებული აქვს შემოიღოს ალტერნატიული გვერდები, მრგვალ მაგიდასთან მოიწვიოს ზუგდიდში მოქმედი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები.

ამიერიდან სარედაქციო კოლეგიის მთავარი საზრუნავი იქნება მიმდინარე პროცესების სრულყოფილი ასახვა, მოვლენათა ობიექტური შეფასება, განსხვავებული აზრის შემწყნარებლობა, საზოგადოებრივ პოლიტიკური აზროვნების ყველა მიმართულების გაცნობა მკითხველებისათვის, რათა ადამიანებმა შეძლონ სწორი დასკვნებისა და არჩევანის გაკეთება.

ჩვენ არ ვყოფთ ადამიანების ჯგუფს ზვიადისტებად და ანტიზვიადისტებად. ყველა ისინი ქართველებია, ჩვენი სისხლი და ხორცია. ამიტომ მათ სრული შესაძლებლობა ექნებათ გაზეთის მეშვეობით გამოხატონ თავიანთი აზრი, როგორც ექსპრეზიდენტის ისე დროებითი მთავრობის მიმართ.

პრესა უნდა გამოვიყენოთ საქმის საკეთილდღეოდ. ობიექტურად ავსახოთ რეალური სიტუაცია. რაც უნდა მწარე იყოს იგი, მკითხველს ვუთხრათ სიმართლე. რაგინდ შენიღბულად არ უნდა ვიცრუოთ, დღეს ვერავის მოვატყუებთ.

დაპირისპირებულ მხარეთა პუბლიკაციებს ჩვეს დავბეჭდავთ ყოველგვარი ჩარევისა და სარედაქციო მინაწერის გარეშე. და თუ ცალკეულ ავტორთა კატეგორიული მოთხოვნა იქნება, ზოგიერთ პუბლიკაციაში ზუსტად იქნება დაცული ავტორისეული სტილი და პუნქტუაციაც კი.

თავის მხრივ რედაქცია უფლებას იტოვებს დაბეჭდოს ან არ დაბეჭდოს ისეთი პუბლიკაცია, რომელშიც პირადი ანგარიშსწორების ტენდენცია სჭარბობს, ან მავანისა და მავანის ლანძღვა გინებას გამოხატავს, ხელს უწყობს დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონფრონტაციის გაღვივებას, საერთო მდგომარეობის დესტაბილიზაციას და ძმათა შორის კვლავ ახალი სისხლიანი ბრძოლების გაჩაღებას.

შენც ალბათ ბევრი სათქმელი დაგიგროვდა მკითხველო! შენი სიტყვა უდაოდ საპატიო და გასათვალისწინებელი იქნება რედაქციისათვის.

ახლა კი იმის შესახებ რით ვუმკურნალოთ იმ დიდ ტკივილს და მწუხარებას, რომელიც განვლილმა დღეებმა მოგვაყენა. ძმათა სისხლიან შეტაკებაში ბევრი ქართველი დაეცა. ისინი ჩვენი დები, ძმები და შვილებია. რა ვუყოთ რომ ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზები მათ სხვადასხვაგვარად ჰქონდათ გააზრებული. მათი სალოცავი ხატი ხომ საქართველო იყო, მთავარი მაინც ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას შესწირეს თავიანთი ჯვარცმული სიცოცხლე. რედაქციაც და თქვენც დიდ ვალში ვართ მამულისათვის დაცემულთა წინაშე. მათ სახელსა და გვარებს ჩვენ აქ არ დავასახელებთ. გამორიცხული არ არის რომელიმე მათგანი გამოგვრჩეს. ეს კი ჭირისუფლებისა და ნათესავ მეგობრების სამართლიან გულისწყრომას გამოიწვევს. თუმცა გვიან, მაგრამ რედაქცია დიდ პატივს მიაგებს ყველა მათგანის ხსოვნას. აქ კი თქვენი თანადგომა და დახმარება გვჭირდება ძვირფასო მკითხველო!

ახლა როგორც არასდროს რედაქციის კოლექტივს მხარში უნდა ამოუდგეს საზოგადოებრიობა. მათ თვითონაც უნდა მოითხოვონ განსხვავებული აზრის მოსმენა, რათა კამათში იშვას ჭეშმარიტება და გამთელდეს ის ჩატეხილი ხიდი, რომელშაც ძმათა სისხლისღვრა გამოიწვია.

დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონსტრუქციული დიალოგი თუ გადაარჩენს დღეს საქართველოს. უნდა ვირწმუნოთ, რომ მტრობით დანგრეულს მხოლოდ სიყვარული და ურთიერთ პატივისცემა აღადგენს.

მაშ ველით თქვენს პირუთვნელ წერილებს რომელთა გამოქვეყნება მოხდება საქართველოში მოქმედი პრესის კანონების გათვალისწინებით და ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით.

გახსოვდეთ, რომ რედაქციაც და მკითხველიც სტაბილიზაციისათვის ბრძოლაში მეკავშირეებია.

გაზეთ „ოდიშის“ რედაქცია

ცნობები მინდვრებიდან

დათესილია 450 ჰექტარი

„საქქაღალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანების ერგეტის მეურნეობაში (დირექტორი ს. ჯოჯუა, მთავარი აგრონომი ნ. გაბისონია) დროულად აიღეს კურსი სტაბილიზაციისაკენ. წესრიგში მოიყვანეს ტექნიკა, მოიმარაგეს თესლი და აგროვადებში დაამთავრეს მარცვლეული კულტურებისათვის გათვალისწინებული ფართობების დამუშავება.

23 აპრილს მეურნეობის კოლექტივი რაიონში პირველი ორგანიზებულად შეუდგა თესვას მინდვრად გავიდა მეურნეობის განკარგულებაში არსებული ტექნიკა. ამ დღეს აქ დაითესა 25 ჰექტარი ფართობი.

პირველი ივნისისათვის მთლიანად დამთავრდა თესვა მეურნეობის განკარგულებაში არსებულ 450 ჰექტარზე. მათ შორის 250 ჰექტარი სამარცვლეა, ხოლო დანარჩენი სასილოსე. ერგეტელები შარშანდელთან შედარებით წელს სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობას გაზრდიან 5 ცენტნერით, უზრუნველყოფენ პირუტყვს ადგილობრივი წარმოების იაფი საკვებით.

სოფელში დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს მიწის პრივატიზაცია. გლეხებს რომელთაც მიწები გადაეცათ მეურნეობის დირექცია დახმარებას გაუწევს ტექნიკით და მინერალური სასუქებით.

* * *

არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად ნარაზენელმა მესიმინდეებმა აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრეს ნიადაგის დამუშავება და აპრილის ბოლო რიცხვებში ორგანიზებულად დაიწყეს თესვა. პირველი ივნისისათვის დათესილი იყო 400 ჰექტარი. მათ შორის სამარცვლედ 240 ჰექტარი, სასილოსედ 70 ჰექტარი, ხოლო დანარჩენი მწვანე მასას და სოიოს დაეთმობა.

წელს ნარაზენელები მარცვლეულის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობას გაზრდიან 45 ცენტნერამდე. გვაცნობა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ლომაიამ.

კადრების აღზრდის ახალი კერა

მუშაობას შეუდგა ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

1992 წლის პირველი ივნისი განსაკუთრებულ ღირსსახსოვარ თარიღად შევა ზუგდიდის რეგიონის სახალხო განათლების ცხოვრებაში. მუშაობას შეუდგა ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი.

მართალია სწავლება ოთხი თვის დაგვიანებით დავიწყეთ, მაგრამ მას გარკვეული ობიექტური მიზეზები ჰქონდა და ახლა უნივერსიტეტში სწავლის დაწყება იმის ნიშანია, რომ ზუგდიდში პოლიტიკური ვნებათა ღელვა თანდათან ცხრება და მდგომარეობა უფრო სტაბილური ხდება, — განაცხადა ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პრორექტორმა სასწავლო დარგში, გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ბატონმა მურმან არდიამ. ამჟამად უნივერსიტეტში სწავლება ათი სპეციალობით მიმდინარეობს. ესენია: ფიზიკა და მათემატიკა, ბიოლოგია, სამედიცინო ბიოლოგიური გენეტიკა, სამართალმცოდნეობა, საქართველოს და საზღვარგარეთის ეკონომიკური გეოგრაფია, სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და მართვა, საფინანსო და საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი, მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯერი და ისტორია, სექტემბრიდან გათვალისწინებულია ფილოლოგიური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების გახსნა.

სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა, მაგრამ ობლები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები და ავღანეთის ომის მონაწილეები შეღავათიან ფასებში სწავლობენ.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას დასაწყისიდანვე ეყრება მტკიცე საფუძველი, რომელსაც მალე ექნება თავისი დამოუკიდებელი თანამედროვე დონის სასწავლო კორპუსები, კაბინეტ-ლაბორატორიები და საცდელი პოლიგონები. უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთა შორის მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატებია, რაც იმის გარანტიაა, რომ იგი მაღალი მეცნიერული აზროვნების ძლიერი კერა გახდება.

„ოდიშის“ ხელმოწერა საყურადღებოდ!

ქაღალდის ფასების კატასტროფულმა ზრდამ (ცენტრალიზებული წესით გამოგზავნილი ერთი ტონა ქაღალდის ღირებულება 180 მანეთს არ აღემატებოდა, ახლა იგი 30-35 ათასი მანეთი ღირს), სასტამბო ხარჯების გაძვირებამ გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთ „ოდიშის“ ღირებულება 1 მანეთამდე. ის თანხა, რაც წლიური ხელმოწერის საფასურს შეადგენს (15 მანეთი და 60 კაპიკი) გაძვირების შემდეგ მხოლოდ 16 ნომერს აანაზღაურებს.

დღევანდელი მძიმე ეკონომიკური კრიზისის დროს, როცა მომსახურეთა და პენსიონერთა გარკვეულ ნაწილს თვეების მანძილზე ხელფასი და პენსიაც არა აქვს მიღებული, როცა სასურსათო და სამრეწველო მაღაზიების დახლები ცარიელია, როცა საკომისიო მაღაზიებსა და საკოლმეურნეო ბაზარში ყველაფერი ცეცხლის ფასად იყიდება, ასეთ დროს ძალიან ძნელია მოთხოვო ხელმომწერს თითოეული ნომრის კვალობაზე გადაიანგარიშოს და შეიტანოს სხვაობა „სოიუზპეჩატის“ ზუგდიდის განყოფილებაში რედაქციის სასარგებლოდ.

მაგრამ რა ექნათ როცა სხვა გამოსავალი არ არის, თუ ეს სხვაობა არ დაიფარა ადგილობრივ გაზეთს აშკარა დახურვის საფრთხე ემუქრება.

რედაქციამ საკუთარი სახსრებით უნდა შეიძინოს ქაღალდი და გასწიოს სასტამბო ხარჯებიც.

ღღეს როცა სახელმწიფო ბიუჯეტს მილიარდობით მანეთის გარღვევა აქვს, ფულადი სახსრების ასეთი მწვავე დეფიციტის დროს ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ რაიონულ რედაქციებს ასეული ათასობით მანეთის დოტაცია მის ცეს ვინმემ. ასეთ შემთხვევაში ვალდებულნი ვართ ჩვენ თვითონ მივხედოთ საკუთარ თავს.

ძვირფასო მკითხველო! თუ გსურთ ივლისიდან შეუფერხებლად მიიღოთ გაზეთი „ოდიში“ 25 ივნისამდე უნდა გადაფაროთ სხვაობა და განაახლოთ ხელმოწერა. ნახევარი წლით გაზეთი „ოდიშის“ ფასი 78 მანეთი იქნება. ის ვისაც გაზეთი მთელი წლით აქვს გამოწერილი, გადაიხდის 7,8 მანეთით ნაკლებს. ე. ი. ყოველ ნომერზე 10 კაპიკით ნაკლებს.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც რედაქციას თქვენი დიდი იმედი აქვს ძვირფასო მკითხველო.

გაზეთ „ოდიშის“
რედაქცია.

მეაბრეშუმეებს ნუ გავანაწყენებთ

1991 წელს ოზურგეთის ძაფსაღებმა ფაბრიკამ დადებული ხელშეკრულების თანახმად ერთ კილოგრამ ხმელ პარკზე ზუგდიდის რაიაბრეშუმს ჩაურიცხა 107 მანეთი, რაც ნედლ პარკზე შეადგენს 39 მანეთსა და 60 კაპიკს, ეს თანხა გათვალისწინებული იყო მეაბრეშუმეებზე გასაცემად. რაიაბრეშუმის ხელმძღვანელობამ კი (დირექტორი გ. მელაძე, ბუღალტერი ვ. ნანეიშვილი) კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს მეაბრეშუმეების მიერ ჩაბარებული ყოველი კილოგრამი პარკის ღირებულების ასანაზღაურებლად გადაურიცხა 29 მანეთი. ასე რომ კილოგრამ პარკის ნედლეულზე მეაბრეშუმემ მიიღო არა 39 მანეთი და 60 კაპიკი, არამედ 29 მანეთი. რაიაბრეშუმის დირექციის ასეთმა თვითნებურმა მოქმედებამ მეაბრეშუმეთა სამართლიანი გულისწყრომა და უკმაყოფილება გამოიწვია. ამის თაობაზე მეაბრეშუმეებმა ვის არ მიმართეს საჩივრით. მაგრამ სამწუხაროდ მათ სამართლიან მოთხოვნებს და პრეტენზიებს არავინ გამოეხმაურა და არც რაიმე შედეგი მოყოლია. მათი საჩივრები და განცხადებები დარჩა როგორც ღაღადი უდაბნოსა შინა.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა მოხდა მერე. პარკის წარმოებისათვის გაწეული ხარჯები (მხედველობაში გვაქვს გრენის თესლი, ქაღალდი, ფორმალინი) დაუკავა მეაბრეშუმეებს რაიაბრეშუმის დირექციამ. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული ხარჯები აბრეშუმის მწარმოებელმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა თვითონ გასწიეს და რაიაბრეშუმის ხელმძღვანელობას რა საფუძველი ჰქონდა მისი დაკავებისათვის.

არსებობს მთავრობის დადგენილება (როგორც ძველის ისე ახლისაც) მეაბრეშუმეებს არ დაუკავდეთ საშემოსავლო გადასახადი. მაგრამ ეს დადგენილება ყურად არავინ იღო და ანაკლიის, ორულუს, ორსანტიისა და დარჩელის მეურნეობებში იგი მაინც დააკავეს.

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო, იფიქრეს პროფკომიტეტში და მეაბრეშუმეებს პროფკავშირის საწევროც დაუკავეს. მაგრამ არავინ იცის ეს თანხა სად წავიდა და რას მოხმარდა.

დაიწყო აბრეშუმის ჭიის გამოკვების სეზონი, ძნელია წინასწარ იმის განსაზღვრა რას იზამენ მოტყუებული მეაბრეშუმეები, როგორ დაუდგებენ გულს პარკის მოვლა მოყვანის საქმეს. მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ადამიანები, რომლებსაც პარკის უხვი მოსავლის მიღების კარგი ტრადიცია აქვთ, არ უნდა გავანაწყენოთ, უკლებლივ უნდა მივცეთ ჩაბარებული ნედლეულის საფასური.

გვჯერა, რომ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ კომპეტენტური ორგანოები აქტიურად ჩაერევიან საქმეში და მეაბრეშუმეები მიიღებენ იმ სხვაობას, რომელიც მათ შრომის ანაზღაურებისას დააკლეს. მაგრამ სად 1991 წლის მაის ივნისის დროინდელი მანეთის სყიდვითი უნარიანობა და სად დღევანდელი. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ ამაზეც ხომ უნდა იფიქროს ვინმემ.

ა. ჯინჯოლავა,
რაიაბრეშუმის წამყვანი სპეციალისტი, პუნქტის გამგე.

ჭადარი სწრაფად მზარდი, ქარის, სიცხისა და გვალვის გამძლე დეკორატიული ძვირფასი მერქნის ხეა, მის სამშობლოდ ითვლება მცირე აზიის სამხრეთი ნაწილი, ბუნებრივად გავრცელებულია ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთშიც. იგი კარგად იზრდება საშუალო ტენიან პირობებში. აქვს ღრმა ფესვთა სისტემა, ცოცხლობს 2000-წლამდე, სიმაღლით 30-მეტრს აღემატება, ღეროს დიამეტრი 5-მეტრს, ზოგჯერ მეტსაც აღწევს.

გავუფრთხილდეთ ჭადარს

დეკორატიულობის გარდა ჭადარს დიდი სარგებლობა მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მას საუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენური მაჩვენებლები ახასიათებს. მაგალითად ფიტონციდობა, ჰაერის იონიზაციის, უანგბადის ოზონირების, ჰაერის ეფექტური ტემპერატურისა და კომპოზიციის შექმნის უნარი. შთანთქავს მავნე გაზებსა და ამით წმენდს ჰაერს დაბინძურებისაგან. ამასთანავე იგი ანელებს ქალაქის ხმაურს. ამის გარდა იგი საუკეთესო სამეურნეო გამოყენების ჯიშიც არის. მის მერქანს იყენებენ საავეჯო წარმოებაში, გემთმშენებლობაში და სხვაგან.

მიუხედავად ამ დიდი დადებითი თვისებებისა, ჭადარს უავს თავისი მტერი ზოგიერთი ადამიანი, რომლებიც საუბრის საშუალებით ავრცელებენ შეხედულებას, თითქოს ჭადარი მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მისი ყვავილის მტვერი იწვევს ალერგიულ გაღიზიანებას, ამიტომ ამ ჯიშის ნარგაობა უნდა შოისპოს.

ამგვარი აზრი არასწორია, ჯერ ერთი ჭადრის ყვავილის მტვერი უმნიშვნელოა სხვა მცენარეებთან შედარებით, რომლებსაც განზრახ არ ვასახელებ. მეორეც, მათი ყვავილობა ძალზე ხანმოკლეა.

ჭადარი მწვანე ფილტვია, რომელიც შთანთქავს ჰაერის მავნე გაზებს და ამდიდრებს გარემოს ჟანგბადით. ამასთან ჭადარი გამოყოფს მჭროლავ ნივთიერებას ფიტონციდს, რომელიც სპობს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე მიკრობებს. ასე მაგალითად დიფტერიის, ტუბერკულიოზის, ჩირქოვანი ინფექციის გამომწვევ მიკრობებს და სხვას.

დროა სანამ ჭადრის ჯიში გადაშენდებოდეს აღიკვეთოს მისი ყოველი ძირის მოჭრა, როგორც ქალაქში ასევე რაიონში, რისთვისაც ხმა უნდა აიმაღლოს ყველა გონიერმა ადამიანმა.

ჭადრის ყოველი ძირის მჭრელი მთელი კანონის სიმკაცრით უნდა დაისაჯოს.

ირვერ ჯალაღონია,
ზუგდიდის სატყეო მეურნეობის დირექტორი.

ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა..

გაგვახსენდები, როგორც სიზმარი...

მას განგებამ ახლის ძიების, შენების ნიჭი დაანათლა. არქიტექტურა არ გახლდათ მისთვის მხოლოდ საკუთარი ყოფის კეთილმოწყობის რაღაც გარანტი, არამედ შინაგანი მოწოდება, სულიერ აღმაფრენამდე მისული ზნეობრივი მოწოდება. ამ აღმაფრენის საამო წუთები არაერთხელ განუცდია ჯერაც სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტს. განუცდია მშობლიურ ზუგდიდსა, თუ ქუთაისში, მიწისძვრით დანგრეული რაჭის მთიანეთსა, თუ უცხოეთშიც, სადაც მისი პროექტით საოცრად არაორდინალური სახლი უნდა აეგოთ. წერდა მშვენიერ ლექსებს, რომლებშიც გამორჩეული ადგილი სამშობლოს თემას ეთმობოდა.

... წინ იყო ლამაზი ახალგაზრდული გატაცებების, თვითმყოფადი ინუინრული ჩანაფიქრების ხორცშესხმით შთაგონებული დღეები და წლები. დღეები, რომლებსაც უზომო ადამიანური სიხარული და ბედნიერება უნდა მოეტანა მისთვის, მისი ოჯახისთვის, ახლობლებისთვის. მაგრამ ერთმა ავბედითმა დღემ წერტილი დაუსვა ყოველივეს. მშობლიურ ზუგდიდში გამართული ხალხმრავალი მიტინგის დარბევისას თავისავე მოძმემ, შურისგების ქვენაგრძნობით ატანილმა გვარდიელმა სიცოცხლეს გამოასალმა სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა, სიცოცხლეზე საოცრად შეყვარებული შემოქმედი გოჩა ჯიქია.

... ვაგლახ, რომ აღარ მოესწრო ამ მრუმე და ნაღვლიანი წელიწადის გამოღვიძებას, უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს — აღდგომას.

გაივლის წლები. გადაიწმინდება ავბედითი ღრუბლები ქართულ ცაზე. ბოლოს და ბოლოს მოვა მშვიდობა ჩვენს ბედკრულ მიწაზე და მაშინ ფეხაკრეფით შევალთ ტაძარში და ჩუმად, მდუმარებაში ჩაძირულნი სანთლებს ავუნთებთ სამშობლოსათვის შეწირულთ. და ამ ნათელ წრეში დაივანებს გოჩას ლამაზი სული, რათა უხილავი სიმებით შეეხმიანოს ბედკრულ მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს.

სანთლების ამ ციმციმში კი მომავლისკენ იმედით მზირალ სამწუხოსთან მოვა ნათელი და ამაღლებული რწმენა იმისა, რომ სიძულვილსა და შურს უდაოდ დაამარცხებს სიყვარული...

ა. ალანია.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია

უქალალდობის გამო ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ორგვერდიანია

გაზეთი „ოდიში“ გამოვა კვირაში ორჯერ, სამშაბათს და შაბათს.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56 ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 06, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21-78, მშრომელთა წერილების 2-25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

საქართველოს რესპუბლიკის ზემდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 5000, შეკ. № 82

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ერი

1992
სამშაბათი
9
ივნისი
№ 7 (1)33
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

საქართველოს პარლამენტში 169 დეპუტატი იქნება

ეს ციფრი, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტის საარჩევნო დებულების სხვა პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებიც პრაქტიკულად განსაზღვრავენ ქვეყნის ხელისუფლების მომავალი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სახეს, სრულიად დამტკიცდა რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 21 მაისს გამართულ მორიგ სხდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება".
2. „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება" ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 21 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები ჩატარდეს 1992 წლის 11 ოქტომბერს.
2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის გამო შეწყდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი.
3. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 21 მაისი.

დამაღონებელია დღევანდელი საქართველოს ხილვა. ურთიერთსაძულვილმა და შურმა დაწყვიტა ქართველთა გულების გამაერთიანებელი ძაფები. გაბზარულ სულებში გულგრილობის ქარი დასისინებს. მოშურნეების, მქირდავების, მაბეზღარების ავკაცობით განაწამებ პიროვნებებს

საკუთარი ნიჭისა და ღირსების ხალმეტად შეჯავშნა უჭირთ. აუტანელია ამდაგვარი ყოფა, მაგრამ ჩვენებური კაცი წუთისოფლის სიმრუდეს არასოდეს შეპუებია და ახლაც ბიბლიური შეგონებით იმაგრებს თავს: „ჩემი არს ზრახვაი, ჩემი არს კრძალულებაი, ჩემი არს გონიერებაი, ჩემი არს ძალი"...

ნუთუ არ არის დრო, ყოველი ჩვენგანი ღრმად ჩაუფიქრდეს მის თავზე გადმოღვრილი ლაფის სათავეს: არა ბედისწერამ, არამედ ორასწლიანმა მონობამ შეგვინაზადა ეს შავამი და სამსალა, ძმა ძმას გადაკიდა, სულში ღვარძლის მარცვალი ჩათესა, სიყვარულის ღვთიური ნერგი დააზრო.

ორასწლიანმა მონობამ მოგვიდუნა პიროვნული ნება, თავისუფლების ნერვი, შეგვაგუა კომფორმისტთა მძლავრობას. ამიტომაც მომრავლდნენ უმეცარნი და მათი მფარველნი, რომელთაც დაა ქციეს საქართველო...

მართლაც რომ უსასტიკესი უამი გვიდგას. ბევრი მედროვე და ფარისეველი ბოროტად სარგებლობს ამ ვითარებით და ჭეშმარიტების მაძიებლის პოზით ესწრაფვის თვითდამკვიდრებას. ასეთი კაცუნების აქტიურობაზე უფრო საშიში არაუერია ქვეყნისთვის, რომელიც ისევ სიყვარულმა და რწმენამ, ერთგულებამ და უანგარობამ უნდა აღორძინოს. ჩვენ საკმაოდ დაგვსაჯა და გამოგვფხიზლა განგებამ სამისოდ, რომ ნამდვილი სათნოებისა და პირუთვნელობის ფასი ფეხით ტერფამდე გავიცნობიეროთ მასვე ძალუძს უსამართლობის ნერგის მომრწყველს მარჯვენა გაუშეშოს, რამეთუ ყავლგაუსვლელია ბრძენის შეგონება: „როცა საქმე უსამართლო ღმერთმა ვისმცა შეარჩინა"...

მოხდა საუკუნის ტრაგედია. ქართველმა ქართველი მოსაკლავად გაიმეტა. ყოველი ცდა ძმამკირდავებმა, მეშურნეებმა, ხინჯის მჩხრეკელებმა. ვაი, რომ ქართველებს ისევ არ აღმოგვაჩნდა ერთიანობის სული და ისტორიული განსაცდელის ფამს კაენის ცოდვით დავიდაღეთ შუბლი.

ჩვენი ტრაგედიის მიზეზი ისევ და ისევ ჩვენს სულიერ სინწირეშია, რამაც მამულზე და ჭეშმარიტებაზე მაღლა საკუთარი მე დაგვაყენებინა. სწორედ ამ სენმა

„და დაილევა დრო უჟამურიც"

თამკვლელი ომის თავიდან აცილებისა, უშედეგოდ დამთავრდა. ყოველი ნაბიჯი ეროვნული თანხმობისაკენ გადადგმული, ამაო გამოდგა.

რა ვიღონოთ, რით მოვიწმინდოთ დაღვრილი სისხლი, სად ვეძიოთ ხსნის გზა? ალბათ ისევ და ისევ ღვთის სიყვარულში, ურთიერთმიტევებაში, ძლევამოსილი სიმართლის აღიარებაში... ეს სიმართლე არც გამარჯვებულის მბარესაა საძიებელი და არც დამარცხებულის, რამეთუ ძმათა მკვლელ ომში მოგებული არ არსებობს.

ეს უბედურება საქართველოს ქრისტესგან განდგომილებმა დავატეხეთ, შურითა და თავკერძობით გაამაყებულებმა, დვარძლმორეულებმა განვუმზადეთ. ამიტომ ნურავინ ეძებს დამნაშავეს სხვაგან და სხვაში. მეტნაკლებად სისხლში ხელი გვაქვს გასვრილი ყველას, ვინც ამ ძნელბედობის ფამს საქართველო დაივიწყა. ეს ჯოჯოხეთური ცეცხლი აღაგზნო შინა ქიშპობამ და შუღლმა, პატივმოყვარეობამ და საკუთარ წადილთა მონობამ, ათასი ჯურის ჩაკლა და ჩახშო ყოველ ჩვენგანში ქართული ცნობიერება.

„შეიძლება დაიპყრო თქვენი მიწა-წყალი, მაგრამ თქვენი სულის დამორჩილებას ვერავინ შეძლებს. ვოცნებობ იმ დღეზე, როცა მე ჩამოვალო სრულიად თავისუფალ საქართველოში"—ეს სიტყვები ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს ნიქსონს ეკუთვნის. ნიქსონმა გაიგო ქართული სული, ქართული გენის თვითმყოფადობის მისტერია და ბევრმა ჩვენმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ვერა.

და მაინც, რა ი:ხნის ორად გაყოფილ, გაბოროტებულ საქართველოს? ერთმანეთისკენ სავალი გზების დაუცხრომელი ძიება, ღმერთთან მიახლოება, იმ დიდი, ძლევამოსილი სიმართლის ამოპარწყინება, რომელიც მაოლოდ უფლის ნებაა.

„ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ"—მოდით, კვლავ ღვარჩეთ თანამემამულენი ამ ლაიონური, მარად უბერებელი სენტენციის ერთგულნი.

ზ. ცაბაძე.

გუგდიდის პოლიტიკურ ორგანიზაციებს, შეიარაღებულ ფორმირებებს!

დღეს ყველასათვის ცხადი, თუ რა მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ მხრივ განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაშია ზუგდიდი და მისი რეგიონი. ჩვენს ქალაქში კრიმინოგენულმა სიტუაციამ აპოგეას მიაღწია. ხალხი დაიქანცა, უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისშია. მოვლენების შემდგომმა ესკალაციამ შეიძლება ქალაქი კატასტროფამდე მიიყვანოს.

ამჟამად მიზეზების ძებნის და მტყუან-მართლის გარჩევის დრო არ რჩება, იგი მივანდოთ პირუთვნელ მსაჯულს, რომელიც ერის ისტორიაში ყველას და ყველაფერს [illegible] ადგილს მიუჩენს.

ღღეს კი ძმათაკვლას, ნგრევას, ძარცვას, გლეჯას ბოლო არ უჩანს, მახვილითა და ცეცხლით ითრგუნება გონიერება და სათნოება, რომლის ნანგრევებზე უზნეობა ზეიმობს, შურითა და სიძულვილით მხოლოდ ბოროტება იმარჯვებს...

ყველას, ყოველ პატიოსან მოქალაქეს სტაბილური ცხოვრება, აღმშენებლობითი საქმიანობა და სიმშვიდე სწყურია.

ღღეს, როცა ზუგდიდიდან გასულია სამთავრობო შეიარაღებული ძალები და ერთმანეთის პირისპირ ვრჩებით, გამოვიჩინოთ კეთილგონიერება და ყველა სადავო საკითხი ცივილიზებული წესით მოვაგვაროთ.

სხვა გზა არ არსებობს, ამავე გზისკენ მიგვითითებს უზენაესიც, რომელსაც ჩვენი კუთხის კაცისათვის ცინცხალი გონება და სათნოება დაუნათლებია.

ძმებო, დები, ჩვენ ხომ საქართველოს თავისუფლების იდეა გვაერთიანებდა და დღემდე ეს იდეა გვასულდგმულებს. ჯერაც არ არის გვიან ჩვენს შორის არსებული წინააღმდეგობების მშვიდობიანი გადაჭრისათვის ვიზრუნოთ, ნუ გავუშვებთ ამ შესაძლებლობას ხელიდან, ერთ სისხლსა და ხორცს არ შეშვენის იარაღის ენით ერთმანეთთან საუბარი. მთავარია თითო ნაბიჯი გადავდგათ ამ მხრივ და მიზანიც მიღწეული იქნება.

ღმერთი ფარავდეს ჩვენს კუთხეს და მთლიანად დედასაქართველოს!

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზუგდიდის კომიტეტი.

მწვანეთა პარტიის ზუგდიდის განყოფილება,

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის განყოფილება.

ეროვნულ-ლიბერალური დემოკრატიული პარტიის ზუგდიდის განყოფილება.

საქ. დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტი.

დავიცვათ კანონი მიწის შესახებ

მიწა წარმოადგენს წარმოების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას და ასაზე საკუთრების უფლებას ყოველთვის იცავდა სახელმწიფო ხელისაბრძანო ნორმატიული აქტებით და ამუამადაც ეს უფლება დაცულია კანონით, მიუხედავად იისა თუ ვის მფლობელობაში იყოფებოდა იგი, სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს თუ ი-დივიდუალურს.

საქართველოს რესპუბლიკა მიეკუთვნება მცირემიწიან სახელმწიფოთა რიცხვს. არსებული რელიეფური მდგომარეობის გამო ხალხ-სათესი ადგილები შეზღუდულია, რაც მოითხოვს მის გამოყენებაზე განსაკუთრებულ მიდგომას.

მიწაზე საკუთრების უფლების დაცვა უზრუნველყოფს მიწის გეგმაზომიერ გამოყენებას და არავის არა აქვს უფლება ხელყოს იგი. მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს მიწის გაჩუქებას, გაყიდვას, მის გასხვისებას რა ფორმითაც არ უნდა იყოს, აკრძალულია მიწის თვითნებურად მითვისება, მისი გადაცემა ამა თუ იმ პირის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულებების სარგებლობაში ხდება შესაბამისი ო